

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
ქონების მართვის, აგრარულ და ბუნებრივი რესურსების  
საკითხების კომისიის 2016 წლის 18 ნოემბერი სხდომის  
ოქმი #24

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. #7

12.30 სთ.

სხდომის თავმჯდომარე \_ თამაზ მოძღვრიშვილი - კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ წევრები - დავით ვალიშვილი, თემირ ლელუაშვილი, დავით პაპიაშვილი, გოჩა ლაბაური, დავით ჯალაბაძე.

**დღის წესრიგი:**

**საკითხი 1** - „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

**მოისმინეს საკითხი 1:** „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

**მომხ. თ. მოძღვრიშვილი.**

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია #07/2/4907 16.11.2016წ. წერილი, რომლითაც ითხოვენ, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანას. კერძოდ, ზემოაღნიშნული განკარგულების პირველ პუნქტში შევიდეს ცვლილება და დაემატოს შემდეგი შინაარსის 1.27 და 1.28 ქვეპუნქტები:

**1.27.** მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 321 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.28.540. საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 3215 (სამი ათას ორას თხუთმეტი) ლარით.

შემდეგი პირობით: მყიდველი ვალდებულია გაითვალისწინოს და იხელმძღვანელოს „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის N366 დადგენილების

24

მე-3 და მე-4 მუხლის მოთხოვნებით (კერძოდ, 110 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზისათვის დადგენილი 20 მეტრიანი დაცვის ზონა.)

1.28. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. მუხრანში მდებარე 169 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.09.39.278. საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 2709 (ორი ათას შვიდას ცხრა) ლარით.

**კომისიამ გადაწყვიტა:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, მიზანშეწონილად მიაჩნია „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე საკითხი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე

თ. მოძღვრიშვილი

კომისიის წევრები

დ. ვალიშვილი

დ. პაპიაშვილი

გ. ლაბაური

თ. ლელუაშვილი

დ. ჯალაბაძე